

ქ. ქობულეთი

10 მარტი 2016წელი

ერთი მხრივ, ქობულეთის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის სულხან ეგენიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ჯ-ლაინი“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი კვანტალიანის მინდობილი პირის ზაზა ჯაყელი (პ/ 01024040397) სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი „ჟ“ ქვეპუნქტი და პრეტენდენტის (მისი დასახელება) სატენდერო წინადადების საფუძველზე, ელექტრონულ ტენდერის (SPA160001332) ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

**1. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება**

1.1 მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება შეასრულოს ქ. ქობულეთში რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიის მოწყობის სამუშაოები (შემდგომში სამუშაო) (CPV 45233120 - გზის მშენებლობა).

1.2 შესასრულებელი სამუშაოების ზუსტი დასახელება, ტექნიკური მახასიათებლების სრული აღწერილობა: (სპეციფიკაცია), ერთეულის ფასი და მთლიანი ღირებულება განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული დანართების მიხედვით.

1.3 მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება ქ. ქობულეთში რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიის მოწყობის სამუშაოები შეასრულოს **528`000** (ხუთასოცდარვა ათასი ლარი) ლარად (შემდგომში ხელშეკრულების ღირებულება).

**2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

2.1 შემსყიდველი უფლებამოსილია სამუშაოების შესრულების პარალელურად მოახდინოს სამუშაოების შემოწმება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი გეგმა გრაფიკისა და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან. ამასთანავე, მიმწოდებელი ვალდებულია წინასწარ შეათანხმოს შემსყიდველთან მშენებლობის პროცესში გამოსაყენებელი მასალების ხარისხი.

2.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს, დაწუნებული სამუშაოების ან/და მისი ნაწილის შესახებ წუნდების მიზეზების მითითებით.

2.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2.4. შემსყიდველს უფლება აქვს განახორციელოს ტექნიკური ზედამხედველობა, მშენებლობის ნებისმიერ მომენტში შეამოწმოს გამოყენებული მასალებისა და სამუშაოთა შესრულების ხარისხი. იმ შემთხვევაში, თუ ხარისხი არ აღმოჩნდება სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისი, შემსყიდველი მხარე უფლებამოსილია შეაჩეროს სამშენებლო სამუშაოთა წარმოება და აკრძალოს შეუსაბამო მასალების გამოყენება.

**შენიშვნა:**

ა) მშენებლობის პროცესში გამოყენებული ყველა მასალა-მოწყობილობა უნდა იყოს მაღალის ხარისხის, რაზეც შემსყიდველს უფლება აქვს, სურვილისამებრ მოითხოვოს შესაბამისი სტანდარტის დამადასტურებელი სერთიფიკატი. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაო არ იქნება მოწონებული შემსყიდველის მიერ, მიმწოდებელი ვალდებულია გამოასწოროს, წარმოადგინოს სხვა, შემსყიდველისათვის მისაღები მასალა, მოწყობილობა და სამუშაო.

ბ) მასალების გამოყენება ობიექტზე მოხდება ტექნიკური ზედამხედველის მიერ წინასწარ დამტკიცებული მასალების განაცხადის ფორმის - დანართი №4 საფუძველზე. ტექნიკური ზედამხედველის მიერ მასალის დაწუნების შემთხვევაში წუნდებული მასალის გამოყენება მშენებლობაში დაუშვებელია.

ფილების მახასიათებელი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნას:

ბეტონის სიმტკიცე შეკუმშვისას-30 მპა (მეგაპასკალი)

ბეტონის წყალშთანთქმა-არაუმეტეს 6%

ბეტონის ცვეთადობა-არაუმეტეს 0,9/კვ.სმ

ბეტონის ყინვაგამძლეობა-არ უნდა შეიცვალოს თვისებები არანაკლებ F-200 ციკლზე

მასალის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს ГОСТ 17608-91-ის ან ევროსტანდარტის EN 1338-2007 მოთხოვნებს

2.5. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს შესაბამისად უფლებამოსილი პირები



### 3.სამუშაოს შესრულების პირობები

3.1.სამუშაოების შესრულება განხორციელდება ეტაპობრივად;

შენიშვნა:

- „ეტაპი“- იგულისხმება 30 კალენდარულ დღეში, მინიმუმ ერთხელ, არანაკლებ სახელშეკრულებო ღირებულების 1/4 სამუშაოების შესრულების წარმოდგენა.
- მიმწოდებელი ვალდებულია 30 კალენდარული დღის განმავლობაში მინიმუმ ერთხელ წარმოადგინოს შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ფორმა N2)

3.2.მიმწოდებელი ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოები დაიწყოს მშენებლობის ნებართვის/თანხმობის გაცემიდან არაუმეტეს 5 დღის განმავლობაში. სამუშაოების შესრულების ვადად განისაზღვროს 120 (ასოცი) დღე მშენებლობის ნებართვის/თანხმობის გაცემიდან.

### 4.თანმდები მომსახურება

მიმწოდებელმა სამუშაოს დასრულების შემდეგ, 10 კალენდარული დღის ვადაში, თავისი ძალებითა და სახსრებით უნდა გაანთავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა-დანადგარებისაგან, დროებითი ნაგებობებისაგან, ასევე სამშენებლო ნარჩენებისაგან.

### 5.შესყიდვის იბიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. სამუშაოს ეტაპის მიღება-ჩაბარებისთვის მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს ფორმა N2, ფორმა N3 და ფარული სამუშაოების აქტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დადასტურებული შემსყიდველის წარმომადგენლის მიერ.

5.2 საბოლოო მიღება-ჩაბარებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოუდგინოს შემსყიდველს ფორმა N2, ფორმა N3, ფარული სამუშაოების აქტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დადასტურებული შემსყიდველის წარმომადგენლის მიერ და სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დასკვნა, რითაც დადასტურდება: 1. შესრულებულ სამუშაოთა მოცულობის რაოდენობრივი სიზუსტე, 2. შესრულებულ სამუშაოთა მოცულობების ხარჯთაღრიცხვის მოცულობებთან შესაბამისობა, 3. შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი. ამისათვის მიმწოდებელმა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირს მიმართვა შესრულებულ სამუშაოთა დადასტურების მიზნით უნდა წარადგინოს შემდეგი ფორმით:

„წარმოდგენილ სამუშაოთა ფორმა N2-ის მიხედვით გთხოვთ, დაგვიდგინოთ:

1. ფორმა N2-ით წარმოდგენილი შესრულებულ სამუშაოთა მოცულობების სიზუსტე;

2. ფორმა N2-ით წარმოდგენილი სამუშაოების მოცულობებისა და ღირებულებების შესაბამისობა ხარჯთაღრიცხვით გათალისწინებულ შესაბამის სამუშაოთა მოცულობებსა და ღირებულებასთან მიმართებაში;

3. შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი“.

5.3 შესყიდვის ობიექტის მიღებას ახორციელებს კონტროლის (ინსპექტირების) ჯგუფი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, სიტყვიერი და წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს შემოწმების შედეგები დაწუნებული სამუშაოს მოცულობისა და წუნდების მიზეზის მითითებით.

5.4 სამუშაოს ეტაპების მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

5.5 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე, ტექნიკურ ზედამხედველობაზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს შესაბამისად უფლებამოსილი პირები.

### 6. გარანტია

6.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ სამუშაო განხორციელდება სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების და მის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური პირობებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად;

6.2. წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად შესრულებული და გადმოცემული სამუშაოების საგარანტიო პერიოდი შეადგენს 3 წელს დაწყებული სამუშაოების დამთავრებიდან.



6.3. საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიმართვის შემდეგ არაუგვიანეს 30 დღეში საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში მიმწოდებლის მიზეზით წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა.

6.4. თუ მიმწოდებელი საგარანტიო ვადის განმავლობაში საკუთარი ხარჯებით ვერ უზრუნველყოფს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრას, შემსყიდველი უფლებამოსილია გაფრთხილებიდან 30 დღის ამოწურვის შემდეგ მიმართოს სასამართლოს მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად.

### 7. ანგარიშსწორება

7.1 საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

7.2 ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად, შესრულებული სამუშაოების მოცულობის მიხედვით უნაადლო ანგარიშსწორებით ლარებში.

7.3 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება კონკრეტული ეტაპით სრულად გათვალისწინებულ სამუშაოებზე ხელშეკრულების შესაბამისად გაფორმებული შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის, ფორმა №2, ფორმა №3 და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში. ასევე შესაძლებელია ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდეს მომდევნო ეტაპით გათვალისწინებულ წინსწრებით სრულად ან/და ნაწილობრივ შესრულებულ სამუშაოებზე, ხელშეკრულების შესაბამისად გაფორმებული შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის, ფორმა №2, ფორმა №3 და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში. ზემოთაღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენილობა ან/და ხარვეზით წარმოდგენის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

**შენიშვნა:** კონკრეტული ეტაპით წინსწრებით შესრულებული სამუშაოები ჩაითვლება მომდევნო ეტაპით გათვალისწინებულ სამუშაოებში.

7.4 საბოლოო ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დასკვნის, ფორმა №2, ფორმა №3 და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე წარმოდგენიდან, არაუგვიანეს 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში. ანგარიშსწორება განხორციელდება იმ დოკუმენტის (ფორმა №2 და/ან ექსპერტის დასკვნა) მიხედვით, რომელშიც უფრო ნაკლები ღირებულება იქნება დაფიქსირებული.

7.5 ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრული გაუთვალისწინებელი სამუშაოებისათვის გამოყოფილი თანხა გამოიყენება მხოლოდ სამუშაოს შესრულების პროცესში დამატებით ჩასატარებელი სამუშაოების შესასრულებლად, შესაბამისი მოტივირებული დასკვნის საფუძველზე, შემსყიდველთან შეთანხმებით.

7.6 მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, საბანკო გარანტიის (გაცემული საქართველოში რეგისტრირებული რეზიდენტი იურიდიული პირის (ბანკის) მიერ) წარმოდგენის საფუძველზე, ავანსის სახით მიმწოდებელს ჩაურიცხოს ხელშეკრულების ღირებულების არაუმეტეს 50%. საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა მინიმუმ 60 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს სამუშაოს შესრულების ვადას

7.7. შემსყიდველის მიერ ავანსად გადახდილი თანხის გამოქვითვა განხორციელდება მიმწოდებლის მიერ ანგარიშსწორებისათვის წარმოდგენილი ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების ღირებულებიდან 50%-ის ოდენობით, ყოველ წარმოდგენილ შესრულებაზე.

7.8. ექსპერტიზის ხარჯებს ანაზღაურებს მიმწოდებელი.

### 8. ფასები

ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

### 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.



9.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9.4 ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 10. მხარეთა უფლება-მოვალეობები

10.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

10.2. შემსყიდველი ვალდებულია:

10.2.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

10.2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას საქმის კურსში ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ;

10.2.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

10.2.4. წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

10.3. შემსყიდველს უფლება აქვს:

10.3.1. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებების პირობების დაცვაზე;

10.3.2. განახორციელოს შესრულებული სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და შეამოწმოს მათი შესაბამისობა საქართველოში მოქმედი მშენებლობის ნორმებისა და წესებში გათვალისწინებული ხარისხის კრიტერიუმების, ტექნიკური სპეციფიკაციების და მოქმედი სტანდარტების გათვალისწინებით.

10.3.3. ხელი მოაწეროს სამუშაოების მიღება-ჩაბარების (შესრულების) აქტებს;

10.3.4. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მონაცემები ყალბი აღმოჩნდება;

10.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

10.4.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

10.4.2. სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით უზრუნველყოს სამუშაოთა მაღალი ხარისხით შესრულება და მათი დამთავრება ხელშეკრულების პირობების 3.2 პუნქტით განსაზღვრულ ვადებში;

10.4.3. ფარული სამუშაოები აწარმოოს შემსყიდველის კოორდინატორის უშუალო ზედამხედველობის ქვეშ. მიმწოდებელი ვალდებულია წინასწარ 2 (ორი) კალენდარული დღით ადრე წერილობით და სიტყვიერად აცნობოს შემსყიდველს აღნიშნული სამუშაოების შესრულების თარიღის შესახებ.

10.4.4. აწარმოოს სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების გამოცდები და ფარული სამუშაოების აქტები;

10.4.5. სამუშაოების შესრულების პროცესში შეტყობინების მიღებისთანავე აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაო შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწვევის გარეშე;

10.4.6. სამუშაოების შესასრულებლად აუცილებელი მასალები, აღჭურვილობა და მექანიზმების მოწოდება უზრუნველყოფილი უნდა იქნას მიმწოდებლის მიერ საკუთარი შესაძლებლობებით და რესურსებით და მიმწოდებელი პასუხისმგებელი უნდა იყოს აღნიშნული მასალების, აღჭურვილობის და მექანიზმების უსაფრთხოებაზე, ხსენებული მასალების დაკარგვის ან გაუმართაობის შედეგად გამოწვეული რისკი ეკისრება მიმწოდებელს.

10.4.7. მიმწოდებელმა სამუშაოების განხორციელების განმავლობაში მათ მიღებამდე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და არსებული ნორმების შესაბამისად, უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად.

10.4.8. მიმწოდებელი საქართველოში ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვასთან დაკავშირებით მოქმედი კანონების და ნორმების შესაბამისად ვალდებულია მიიღოს უსაფრთხოების აუცილებელი ზომები მშენებლობის ზონაში ხანძრის გაჩენის და აფეთქების თავიდან ასაცილებლად.

10.4.9. ნებისმიერ დროს, წინასწარი შეტყობინების გარეშე დაუშვას შემსყიდველი და მისი წარმომადგენლები სამუშაო მოედნებზე.

10.4.10. სამუშაოების დასრულების შემდეგ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საგარანტიო პერიოდის განმავლობაში, რაიმე წუხის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება რომ აღნიშნული წუხი (ნაკლოვანებები, დეფექტი) გამოწვეულია მათი მიზეზით, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოაჩინოს უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები საკუთარი ხარჯებით;

10.5. მიმწოდებელს უფლება აქვს:



10.5.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება.

## 11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

11.2 შემსყიდველი კისრულობს პასუხისმგებლობას ხელშეკრულების პირობების 7.2, 7.3, და 7.4 პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის გადაუხადოს პირგასამტეხლოს სახით მიმწოდებელს ვადაგადაცილებული თანხის 0.1 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

11.3. მიმწოდებლის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები.

11.3.1 იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი ყოველი ეტაპის შესრულების ვადას გადააცილებს შესაბამისი ეტაპის დასრულების ვადას, დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ეტაპის ღირებულების 0,5%-ის ოდენობით;

11.3.2. იმ შემთხვევაში თუ 11.3.1 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს რაოდენობა მიაღწევს შეუსრულებელი ეტაპის ღირებულების ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11.3.3. იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი სამუშაოებს არ დაიწყებს მშენებლობის ნებართვის/თანხმობის გაცემიდან 5 დღის განმავლობაში, აღნიშნული დღეების გასვლის შემდეგ დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ არ დაწყებულ დღეზე ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 0,1%-ის ოდენობით;

11.3.4. იმ შემთხვევაში თუ 11.3.3. პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს რაოდენობა მიაღწევს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 1%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11.3.5. მიმწოდებელს სამუშაოების უხარისხოდ და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, გაეზავნება წერილობითი გაფრთხილება. შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში, არსებული ხარვეზ(ებ)ის აღმოუფხვრელობის ან/და შემდგომ განმეორების შემთხვევაში, მას დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით. ასევე მიმწოდებლის მიერ მითითებული ხარვეზის აღმოუფხვრელობის და პირგასამტეხლოს დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11.4. ხელშეკრულების 11.3. პუნქტით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია მიმართოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფი საბანკო გარანტიის გამცემ ორგანოს (გარანტი) და გამოითხოვოს საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა.

11.5. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან:

11.5.1. თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით ან/და მხარეები ხელშეკრულების შესრულების პროცესში წააწყდებიან ისეთ ხელშემშლელ გარემოებებს, რომელიც გამოწვეულია მათგან დამოუკიდებელი სხვა ობიექტური მიზეზებით.

11.5.2. ის მხარე, რომელიც ხელშეკრულების 11.5.1. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევების გამო ვერ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამომწვევი მიზეზებისა და მისი შესაძლო ხანგრძლივობის შესახებ, ხოლო შეტყობინებიდან არაუგვიანეს 5 დღისა წარმოადგინოს ცნობა შესაბამისი კომპენტენტური ორგანიზაციიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც დაადასტურებს წერილში მოყვანილ გარემოებებს.

11.5.3. ხელშეკრულების 11.5.2. პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილი არიან გადახედონ ხელშეკრულების პირობებს და შეიტანონ მასში შესაბამისი ცვლილება ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით ან/და (არგუმენტაციის საფუძველზე) ვადამდე შეწყვიტონ ხელშეკრულება.

11.6. როგორც შემსყიდველისათვის, ისე მიმწოდებლისათვის ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობაში არ ჩაითვლება იმ დღეების რაოდენობა, რომელიც ექსპერტს დაჭირდება დასკვნის (ცნობის) გასაცემად.

## 12. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

12.1. წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, გამოიყენება სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“-ს მიერ 2016 წლის 9 მარტს გაცემული N BGMP0075/090316 ხელშეკრულების შესრულების 5%-იანი საბანკო გარანტია.

12.2. გარანტიის ოდენობა განისაზღვრება 26 400 (ოცდაექვსი ათას ოთხასი) ლარის ოდენობით.



12.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის (ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევა, ვალდებულების უხარისხოდ, არაჯეროვნად, არასრულად შესრულება და სხვა) შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების პერიოდში მიმართოს გარანტიის გამცემ ორგანოს (გარანტს) და მოითხოვოს ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა.

12.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ შემსყიდველი მიღება-ჩაბარების (შესრულების) აქტის გაფორმებიდან 1 თვის ვადაში მიმწოდებლის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე უზრუნველყოფს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის დაბრუნებას.

12.5. მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე უზრუნველყოფს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის დაბრუნებას.

12.6. გარანტია უნდა იყოს უპირობო. ე.ი. გარანტიით გათვალისწინებული თანხა შემსყიდველმა უნდა მიიღოს ყოველგვარი დამატებითი განმარტებებისა და მტკიცებულების წარდგენის გარეშე, პირველი მოთხოვნისთანავე.

12.7. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი აამოქმედებს გარანტიას და ამ გარანტიით გათვალისწინებული თანხები ამოიწურება, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს ახალი გარანტია, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება.

### 13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1. წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე. გარდა წინამდებარე ხელშეკრულების მე-6 მუხლის და მე-10 მუხლის 10.4 პუნქტის „10.4.10“ ქვეპუნქტის მოთხოვნებისა, აღნიშნული პუნქტების მოქმედების ვადა განისაზღვროს საგარანტიო პერიოდისათვის განსაზღვრული ვადით.

### 15. „შემსყიდველი“-ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

15.1. „შემსყიდველი“-ს მისამართი: ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141;

15.2. „შემსყიდველი“-ს საიდენტიფიკაციო კოდი 247001890;

15.3. „შემსყიდველი“-ს ქობულეთის მუნიციპალიტეტი.

### 16. „მიმწოდებელი“-ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

16.1. „მიმწოდებელი“-ს მისამართი: ქ. თბილისი, მედეა ჩახავას ქ. N4 ბინა N10

16.2. „მიმწოდებელი“-ს საბანკო რეკვიზიტები: სს „VTB ბანკი“, ბანკის კოდი UGEBGE22, ა/ა GE18VT7000000333033602, საინდეფიკაციო კოდი 202 459 197;

16.3. „მიმწოდებელი“-ს შპს „ჯ-ლაინი“

„შემსყიდველი“-ს ქობულეთის მუნიციპალიტეტი  
გამგებელი:

„მიმწოდებელი“-ს შპს „ჯ-ლაინი“  
დირექტორის მინდობილი პირი:



სულხან ევგენიძე

ზაზა ჯაყელი

ქ. ქობულეთის მუნიციპალიტეტში რკინიგზის სადგურის ტერიტორიის მოწყობა

პროექტი სახარჭო-თავროცხო დირექცია

სახარჭო-თავროცხო დირექცია

528000,00

ლარი

№	ხარჯთაღრიცხვა და ანგარიშის №	თავის, ობიექტის და სამუშაოს დასახელება	სახარჯთაღრიცხვო დირექცია				საერთო სახარჯთაღრიცხვო დირექცია
			სამშენებლო სამუშაოები	სამონტაჟო სამუშაოები	მოწყობისა, აგვის, ინჟინერი	საკადასტრო სამუშაოები	
			4	5	6	7	8
1		თანო 2, ძირ. საშენებლო ობიექტი					
1	ლოკალიზაცია ხარჯთაღრიცხვა 1-1; 1-2; 1-3; 1-4;	ქ. ქობულეთის მუნიციპალიტეტში რკინიგზის სადგურის ტერიტორიის მოწყობა	434 424,90	0,00			434 424,90
		მე-2 თავის ჯამი	434 424,90	0,00	0,00	0,00	434 424,90
2		თავი 4, ქვეგრძობა					
		ქვეგრძობის გამანაწილებელი ქსელზე მიერთების საფასური				0,00	0,00
		მე-4 თავის ჯამი				0,00	0,00
2		თავი 10, დორექციის შესახებ ხარჯები					
		მე-10 თავის ჯამი	434 424,90	0,00		0,00	434 424,90
		2-10 თავის ჯამი					
		თავი 12, სადორექციო სამუშაოები					
	ანგარიში №2	სადორექციო სამუშაოები				0,00	0,00
		ჯამი-თავი №12				0,00	0,00
		2-12 თავის ჯამი	434 424,90	0,00		0,00	434 424,90
	ანგარიში №5	გაუყოფლისწინებელი სამუშაოები 3%	0,00	0,00		13 032,75	13 032,75
		ჯამი	434 424,90	0,00		13 032,75	447 457,65
		დღ.გ. 18 %				80 542,38	80 542,38
		სულ ჯამი	434 424,90	0,00		93 575,13	528 000,00



სახარჯთაღრიცხვო

შ.პ.ს "ჯ-ლაინ" -ს დორექციის მიხედვით პირი



ქ. ქობულეთის მუნიციპალიტეტში რკინიგზის სადგურის ტერიტორიის მოწყობა

ლოკალური-რესურსული ხარჯთაღრიცხვა

მთლიანი სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 434 424,90 ლარი

№	საფუძველი	სამუშაოს დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა		სახარჯთაღრიცხვო ღირებულება	
				განზომილების ერთეულზე	საპროექტო მონაცემზე	განზომილების ერთეულზე	სულ
1	2	3	4	5	6	7	8
<b>I. სამშენებლო სამუშაოები</b>							
<b>სადემონტაჟო სამუშაოები</b>							
1	46-23-3	ბეტონის არსებული წრიული შემომსახვდერელების დემონტაჟი	მ <sup>3</sup>		9,50		1 026,00
		შრომითი დანახარჯები მანქანები	კაც/სთ ლარი	12,00 16,80	114,00 159,60	2,00 5,00	228,00 798,00
2	46-23-1	ტროტუარებზე არსებული ბორდიურების დემონტაჟი	მ <sup>3</sup>		11,09		361,52
		შრომითი დანახარჯები მანქანები	კაც/სთ ლარი	5,90 1,80	65,43 19,96	4,00 5,00	261,72 99,80
3	46-14-1	არსებული ხანიაღვრე მიწების დემონტაჟი	100 გრძ.მ		0,24		204,90
		შრომითი დანახარჯები მანქანები	კაც/სთ მანქ/სთ	153,00 2,94	36,72 0,71	5,00 30,00	183,60 21,30
4	1-21-15	სამშენებლო ნაგავის დატვირთვა ავტოთვიომცდელზე და გატანა	1000 მ3		0,02059		215,60
		შრომის დანახარჯები ექსკვატორი	კაც/სთ მნ/სთ	9,78 14,20	0,20 0,29	5,00 30,00	1,00 8,70
		სამშენებლო ნაგავის გატანა 5 კმ-მდე	ტ	2 000,00	41,18	5,00	205,90
5	27-9-4	ს/გზის სავალ ნაწილზე და ტროტუარებზე ასფალტო-ბეტონის საფარის მოხსნა სამტრეველი ჩაქუნის გამოყენებით და გატანა 5 კმ-მდე	100მ3		3,588		9 562,02
		შრომითი დანახარჯები სამტრეველი ჩაქუნი	კაც/სთ მანქ/სთ	160,00 77,50	574,08 278,07	4,00 10,00	2 296,32 2 780,70
		დემონტირებული ასფალტო-ბეტონის გატანა (5კმ-მდე)	ტ		897,00	5,00	4 485,00
6	27-9-5 27-9-4	ტროტუარებზე არსებული ბეტონის ფილის დემონტაჟი სამტრეველი ჩაქუნის გამოყენებით და გატანა 5 კმ-მდე	100მ3		0,265		3 147,16
		შრომითი დანახარჯები სამტრეველი ჩაქუნი	კაც/სთ მანქ/სთ	50,50 77,50	13,38 20,54	2,00 10,00	26,76 205,40
		დემონტირებული ბეტონის გატანა (5კმ-მდე)	ტ	2 200,00	583,00	5,00	2 915,00
7	1-104-4	ხეების მოჭრა (32 სმ დიამეტრზე მეტი)	10 ხე		1,50		99,90
		შრომის დანახარჯები სხვა მანქანები	კაც/სთ ლარი	22,00 0,75	33,00 1,12	2,00 30,00	66,00 33,90
	1-109-3 1-109-9	გადატრილი ხის უვებების ამოძირკვა ორმოს უვებებით	10 ხე		1,50		13,82





1	2	3	4	5	6	7	8
8		ამომძიროკევი მანქანა ტრაქტორზე 108 ცხ.ძ	კაც/სთ	0,65	0,98	4,00	3,92
		ბულდოზერი 108 ცხ.ძ	მანქ/სთ	0,223	0,33	30,00	9,90
9	1-111-1	ძირკვების გატანა	10 ძირკვი		1,50		140,42
		შრომის დანახარჯები	კაც/სთ	2,55	3,83	4,00	15,32
		ტრაქტორი 108 ცხ.ძ მისაბმელით	მანქ/სთ	2,78	4,17	30,00	125,10
10	1-106-9 105-4	ამომძიროკული ხეების გათრევა დასამუშავებელ მოედნამდე და დამორვა- დამუშავება ადგილზე დასაწყობებით	10 ხე		1,50		417,10
		შრომის დანახარჯები	კაც/სთ	66,40	99,60	2,00	199,20
		ტრაქტორი 108 ცხ.ძ	მანქ/სთ	1,12	1,68	30,00	50,40
		მანქანები	ლარი	2,23	3,35	50,00	167,50
<b>სამონტაჟო სამუშაოები</b>							
<b>სანიღვრე სისტემის მოწყობა</b>							
1	1-17-2	მიწის ამოღება სანიღვრე არხის მოსაწყობად	1000 მ3		0,0652		229,96
		შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	486	31,69	4,00	126,76
		ბულდოზერი 108 ცხ.ძ	მანქ/სთ	9,65	0,63	30,00	18,90
		ექსკავატორი 0,65 მ3 ციცხვით მასალები	მანქ/სთ ლარი	39,20 2,28	2,56 0,15	30,00 50,00	76,80 7,50
2	1-21-15	ამოღებული გრუნტის დატვირთვა ავტოთვიმცელზე და გატანა	1000 მ3		0,0652		231,30
		შრომის დანახარჯები	კაც/სთ	9,78	0,64	2,00	1,28
		ექსკავატორი გრუნტის გატანა 5 კმ-მდე	მნ/სთ ტ	14,20 1 550,00	0,93 101,06	30,00 2,00	27,90 202,12
3	30-3-2	სანიღვრე არხისთვის ქვიშა-ხრეშოვანი ბალიშის მოწყობა	მ <sup>3</sup>		9,31		240,03
		შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	2,12	19,74	2,00	39,48
		სხვა მანქანები	მანქ/სთ	0,101	0,94	20,00	18,80
		ქვიშა-ხრეში ქვიშა-ხრეშის ტრანსპორტირება 10 კმ-მდე	მ <sup>3</sup> ტ	1,10 1,55	10,24 15,87	10,00 5,00	102,40 79,35
4	30-3-4	სანიღვრე არხის ბეტონის მომზადების მოწყობა 5 სმ სისქით	100 მ <sup>3</sup>		0,0466		684,72
		შრომის დანახარჯები	კაც/სთ	267,00	12,44	4,00	49,76
		სხვა მანქანები	ლარი	31,00	1,44	4,00	5,76
		ბეტონი ბ-15 სხვა ხარჯები	მ <sup>3</sup> ლარი	112,000 348,00	5,22 16,22	105,00 5,00	548,10 81,10
5	6-26-4	რკინა-ბეტონის სანიღვრე არხის მოწყობა	100მ3		0,2993		6779,14
		შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	801,00	239,74	4,00	958,96
		მანქანები	ლარი	123,00	36,81	5,00	184,05
		ბეტონი ბ-22,5	მ3	101,50	30,38	90,00	2734,20
		კუთხოვანა 50X50X5	გრძ/მ	პროექტ.	266,00	4,00	1064,00
		არმატურა 10ა-III	გრძ/მ	პროექტ.	1788,30	0,60	1072,98
		ხე-მასალა ყალიბისთვის სხვა მასალები	მ3 ლარი	3,96 209,00	1,19 62,55	380,00 5,00	452,20 312,75
9-4-6		ლითონის ცხაური მოწყობა	100მ2		0,665		3615,35
		შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	94,00	62,51	5,00	312,55



1	2	3	4	5	6	7	8
6	ელექტროდი კუთხოვანა 45X45X4 მილკეადრავი 40X40X3 მმ სხვა მასალები		კბ გრძ/მ გრძ/მ ლარი	3,40 პროექტ. პროექტ. 5,56	2,26 266,00 990,00 3,70	5,00 3,00 2,50 5,00	11,30 798,00 2475,00 18,50
	15-164-8 ცხაურის შეღებვა (ორჯერ)	10082			1,330		164,24
7	შრომითი დანახარჯები მანქანები ანტიკოროზიული საღებავი ოლიფა სხვა მასალები		კაც/სთ ლარი კბ კბ ლარი	68 0,03 25,1 2,7 0,19	90,44 0,04 33,38 3,59 0,25	1,00 10,00 2,00 1,50 5,00	90,44 0,40 66,76 5,39 1,25
8	7-25-1 არსებული რკინა-ბეტონის ჭების თავსახურების დემონტაჟი (7 ცალი)	83			2,24		160,51
	შრომის დანახარჯი ამწე სხვა მანქანები სხვა მასალები		კაც/სთ მანქ/სთ ლარი ლარი	4,99 1,77 1,50 0,227	11,18 3,96 3,36 0,51	2,00 30,00 5,00 5,00	22,36 118,80 16,80 2,55
9	6-15-1 რკინა-ბეტონის ჭების ზომების მოყვანა საპროექტო ნიშნულამდე (7 ცალი)	10083			0,006		16,80
	შრომითი დანახარჯები		ლარი	1400,00	8,40	2,00	16,80
10	7-25-1 რკინა-ბეტონის ჭების თავსახურების მონტაჟი (7 ცალი)	83			2,24		164,71
	შრომის დანახარჯი ბეტონი ბ-25 ამწე სხვა მანქანები სხვა მასალები		კაც/სთ მ3 მანქ/სთ ლარი ლარი	4,99 0,018 1,77 1,50 0,227	11,18 0,040 3,96 3,36 0,51	2,00 105,00 30,00 5,00 5,00	22,36 4,20 118,80 16,80 2,55
ს/ზხის სავალი ნაწილის და ტროტუარების მოწყობა							
ა/ბეტონის საფარის მოწყობა ს/ზხის სავალ ნაწილზე							
1	1-17-2 გრუნტის მოჭრა (საშუალოდ 35 სმ) ასფალტო-ბეტონის საფარის მოსაწყობად	1000 მ3			2,249		5 507,55
	შრომითი დანახარჯები ბუღდოზერი 108 ცხ.ძ ექსკავატორი 0,65 მ <sup>3</sup> ციციხვით მასალები		კაც/სთ მანქ/სთ მანქ/სთ ლარი	486 9,65 39,20 2,28	1093,01 21,7029 88,16 5,128	2,00 30,00 30,00 5,00	2186,02 651,09 2 644,80 25,64
2	1-21-1 ამოდებული გრუნტის დატვირთვა ავტოთვიომცლელზე და გატანა	1000 მ3			2,249		7 974,10
	შრომის დანახარჯები ექსკავატორი გრუნტის გატანა 5 კმ-მდე		კაც/სთ მნ/სთ ტ	9,78 14,20 1 550,00	22,00 31,94 3 485,95	2,00 30,00 2,00	44,00 958,20 6 971,90
3	27-10-1 ს/ზხის სავალ ნაწილზე საფუძვლის მოწყობა ქვიშა-ხრეშით სისქით 20 სმ	100082			6,426		22 489,10
